<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 119-ე მუხლის:

ა) **მე-2 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 ნაწილი**:

„2^1. იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პერიოდსა და განსაზღვრულ ზონებში/გზის მონაკვეთებზე გადაადგილებისას სატრანსპორტო საშუალების რომელიმე თვალზე არ აქვს შესაბამისი მახასიათებლების მქონე ზამთრის საბურავები ან განსაკუთრებულ შემთხვევაში, მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით – შესაბამისი მახასიათებლების ზამთრის საბურავები და არანაკლებ ორ წამყვან ბორბალზე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვები, –
გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.“;

ბ) **შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-14 – მე-16 ნაწილები**:

„14. ზამთრის საბურავებისა და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების მახასიათებლებს, აგრეთვე, ამ მახასიათებლებთან საბურავებისა და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების შესაბამისობის დადგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

15. ამ მუხლის 2^1 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში პოლიცია უფლებამოსილია სატრანსპორტო საშუალების მძღოლს შეუზღუდოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ზონებში/გზის მონაკვეთებზე სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა.

16. ამ მუხლის 2^1 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში შესაძლებელია სამართალდამრღვევს დროებით, საქმის განხილვამდე ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალება და იგი გადაყვანილ იქნეს სპეციალურ დაცულ სადგომზე. სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებისა და სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის ხარჯების ანაზღაურება სამართალდამრღვევს დაეკისრება. სატრანსპორტო საშუალება მის მესაკუთრეს/მფლობელს დაუბრუნდება სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის ან მინდობილობის წარდგენის შემდეგ.“.

მუხლი 2

ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**